№ 169

შაბათი, 5 აგვისტო, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 27

№ 169

შაბათი, 5 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—7) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ზ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ვ. ზ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბიბთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—11½—12½ საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიური და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა ორდენი:

წმ. ანნა მე-2 ხარისხისა:—კავკასიის მსროლელთა დრუჟინის უფროსად ნამყოფს, სამსახურს გარეშე გენერალ-მაიორს ვასილ სარაჯიშვილს.

წმ. ანნა მე-3 ხარისხისა: მე-155 ყუბის ქვეითის რაზმის კაპიტანს თავად სიმონ ერისთავს; მე-262 სალიანის ქვეითა რაზმის კაპიტანს—დავით ასათიანს; მიხეილის მეციხოვნე ქვეითა ბატალიონის კაპიტანს—დავით ბრათაშვილს; ასლანდუზის სარეზერვო ბატალიონის კაპიტანს—თავ. ივანე მელიქიშვილს; ტფილისის გრენადერთა მე-15 რაზმის პორუჩიკს ალექსანდრე მაყაშვილს.

წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხისა: არტილერიის მე-20 ბრიგადის მე-5 ბატარეის უფროსს—კირილე ქუთათელაძეს; კავკასიის არტილერიის პირველ მსროლელთა დივიზიონის უფროსს—თავად ლეონტი ჩხეიძეს; დრაგუნის სევერსკის რაზმის როტმისტრს—მიხეილ კობიაშვილს.

წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხისა: გრენადერთა მე-13 ლეიბ-ერევნის მის უდიდებულესობის რაზმის პორუჩიკს—ლავრენტი ბალუაშვილს; მე-79 კურინის ქვეითა რაზმის პორუჩიკს—ნიკოლოზ წიკლაურს.

ებოძა: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: ნადვორნი სოვეტნიკობა: ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივანს — გოცირიძეს, ტფილისის მაზრის პირველ ნაწილის ბოქაულს—გუგუშვილს. ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის უფროსს საქმის მწარმოებელს ბახტაძეს. კოლეჟსკი სეკრეტრობა: ზუგდიდის სამაზრო საპოლიციო გამგეობის მოხელეს—ჯიქიას; დუშეთის სამაზრო საპოლიციო გამგეობის საქმის-მწარმოებელს დაფქვიაშვილს, თელავის სამაზრო საპოლიციო გამგეობისთარჯიმანს—კიკნაძეს. გუბერნსკის სეკრეტრობა: ბაქოს საქალაქო საპოლიციო გამგეობის სტოლის უფროსს ლოლობერიძეს, სიღნაღის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს ნასიძეს, ქ. სიღნაღის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ნასიძეს. კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ზუგდიდის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს—ქეიდიას და ტფილისის საქალაქო პოლიციის მოხელეს—ჩიქოვანს.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისელი კორესპონდენტი დეპეშით გვატყობინებს: „გუშინ-წინ, 3 აგვისტოს, ღამე, გარდაიცვალა ეპისკოპოსი ბესარიონი".

*** გუშინ-წინ, 3 აგვისტოს, დიდუბისა და ნაძალადევის ყველა ქუჩებსა და თვალსაჩინო ადგილებზედ შემდეგი ბრძანება იყო გაკრული ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის ე. ლ. ვედენეევისა. „ამით ეცხადება ხელოსნებსა და მთავარ სახელოსნოების მუშებს, რომ მთავარ სახელოსნოებში მუშაობა განახლდება პარასკევს, 4 აგვისტოს, დილის 5 საათსა და 30 წუთზედ. ყველა ის ხელოსანნი და მომუშავენი, რომელნიც არ მოვლენ ამ დღეს მუშაობაზედ, გასვლის მსურველად იქმნებიან ჩათვლილნი და დაუყოვნებლივ დავითხოვთ. ანგარიში და პასპორტი-კი ამათ 6 აგვისტოს მიეცემათ ახალ საავადმყოფოს შენობაში, დილის 8 დგან 12 საათამდე. ანგარიში, ფული და პასპორტები იმ მომუშავეებისა, რომელნიც 6 აგვისტოს არ მიიღებენ შეუწყნარებელ მიზეზთა გამო, გარდაეცემა პოლიციას, რათა მან გაუგზავნოს სამშობლოში ან საცხოვრებელ ადგილას. ხელოსანთა და მომუშავეთ ამით ეუწყებათ იმ თავით, რომ ყოველივე დარღვეული წესიერება მაშინვე აღდგენილ იქმნება და წესიერების დამრღვეველნი და მათნი წამქეზებელნი დაპატიმრებულ და ქალაქიდგან გაგზავნილ იქმნებიან; სამუშაოდ მოსულ კეთილ-გონიერ ხელოსანთა და მუშათა ხელ-შეუხებლობა და უშიშროება დაცულ იქმნება".

*** ვინც რუსეთის შუათანა და უმაღლესს სასწავლებლებში სწავლობს და სამხედრო ზეგარა წრე-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ამერიკის დიდი ქალაქები.—„სოფლის მეურნეთა კავშირები" გალიციაში.—სახალხო განათლება შვეიცარიაში.—რას ასწავლიან ბერლინის სახალხო სკოლებში.—დაბალი სასწავლებლები და ეგზამენები ჩინეთში.—რასა სჭამენ ჩინეთში და ჩინელთა ზრდილობა.

ერთ რუსულ გაზეთში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი ამერიკის დიდ ქალაქების შესახებ. ცნობები შეეხება იმ ქალაქებს, სადაც ნახევარ მილიონზედ მეტი მცხოვრებია. აი ეს ქალაქები:

| | |
|---|---|
| ნიუ-იორკი | 3,500,000 მცხოვრ. |
| ჩიკაგო | 1,850,000 „ |
| ფილადელფია | 1,240,266 „ |
| სენ-ლუი | 623,000 „ |
| ბოსტონი | 582,000 „ |
| ბალტიმორი | 541,000 „ |

სასწავლებელთა რიცხვით ამ ქალაქებს შორის პირველი ადგილი, რასაკვირველია, ნიუ-იორკს უჭირავს, სადაც 21 უმაღლესი და 380 სხვა სასწავლებელია. სწავლობს იქ 382,833 კაცი და ქალი. ჩიკაგოში 14 უმაღლესი და 304 სხვა სასწავლებელია, სწავლობს 236,239 სული. ფილადელფიაში—5 უმაღლესი და 428 სხვა სასწ., ბოსტონში—11 უმაღ. და 89 სხვა სასწ., ბალტიმორში—3 უმაღ. და 179 სხვა სასწავლებელი. წიგნთ-საცავებით, სამკითხველოებით, წიგნის მაღაზიებით ბოსტონს ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება; მარტო საჯარო წიგნთ-საცავი ამ ქალაქისა 716,050 ტომს შეიცავს.

ლოთობისათვის ორთა შუა რიცხვით წელიწადში აპატიმრებენ:

| | |
|---|---|
| ნიუ-იორკში | 46,170 კაცს |
| ჩიკაგოში | 42,212 „ |
| ფილადელფიაში | 943 „ |
| სენ ლუიში | 3,649 „ |
| ბოსტონში | 26,157 „ |
| ბალტიმორში | 9,681 „ |

აქედგანა სჩანს, რომ ბოსტონში, მაგალითად, ლოთობა გაცილებით უფრო ძალიან ყოფილა გავრცელებული, ვიდრე ფილადელფიაში, სადაც ორჯელ მეტი მცხოვრებია.

მკვლელობა ორთა შუა რიცხვით ხდება: ნიუ-იორკში—331, ჩიკაგოში—40, ფილადელფიაში—31, სენ-ლუიში—36, ბალტიმორში—32. ამ შემთხვევაში ჩვენის კავკასიის ქალაქებიც-კი დასჯაბნიან ამერიკის ქალაქებს: ისე როგორ გაივლის წელიწადი, რომ აქ უმნიშვნელო ქალაქებშიაც-კი რამდენიმე ათი მკვლელობა არ მოხდეს.

ამერიკის ქალაქებს ვალი დიდი ადევთ, თუმცა ამავე დროს ქონებაც დიდი აქვთ. ნიუ-იორკის ვალი, მაგალითად, 343,276,728 დოლლარს (დოლლარი დაახლოვებით ორი მანეთია) შეადგენს, ხოლო საკუთრება ამ ქალაქს 3,073,782,845 დოლლარისა აქვს.

ზემოდ ჩამოთვლილი ქალაქების მცხოვრებნი თუმცა საზოგადოდ დიდს გადასახადს არ იხდიან, მაგრამ ევროპის ზოგიერთ ქალაქთან შედარებით ეს გარდასახადი მაინც თვალსაჩინოა. ინგლისის ქალაქ გლაზგოში, მაგალითად, მცხოვრებნი არავითარ გადასახადს არ იღებენ, რადგანაც ქალაქს დიდძალი შემოსავალი აქვს სხვა-და-სხვა საკუთარ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებიდგან.

* * *

3 და 4 ივლისს გალიციის ქალაქ ლანცუტში მოხდა საზოგადო კრება ეგრედ წოდებულ „სოფლის მეურნეთა კავშირების" წარმომადგენელთა. ეს კავშირები კოოპერატიულ დაწესებულებებს წარმოადგენენ. უმთავრესი დანიშნულება ამ „კავშირებისა" არის: ბრძოლა გაუწიონ სოფლის ჩარჩ-ვაჭრებს (ამ აზრით აარსებენ დუქნებს), მოუპოვონ სოფლის ნაწარმოებს ბაზარი, გაავრცელონ ხალხში სამეურნეო სწავლა-ცოდნა და გაუადვილონ სოფლელთ სამეურნეო იარაღისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მასალის შეძენა.

ჩვიდმეტი წელიწადია მას შემდეგ, რაც პირველი ასეთი „კავშირი" იქმნა დაარსებული, და დღეს მთელ გალიციაში უკვე 1484 „კავშირია". წევრებად, რასაკვირველია, გლეხები არიან. საწევრო ფული მეტად მცირეა. როგორც მთავარ გამგეობის ანგარიშიდგანა სჩანს, „კავშირებმა" დააარსეს სოფლებში სულ 431 დუქანი. 1899 წელს 285 დუქანს (სხვა დუქნების შესახებ მთავარმა გამგეობამ ცნობები ვერ შეჰკრიბა) 4,000,000 მანეთის ვაჭრობა ჰქონდა. დუქნები დიდს სამსახურს უწევენ სოფლელთ იმითაც, რომ სოფლის ნაწარმოებს ჰყიდიან, ზოგს თვით სოფელში და ზოგს კიდევ ქალაქში.

„კავშირებმა" ამ გვარის ვაჭრობით დიდ ძალი ფული შეიძინეს, რასაც საზოგადო საქმეს ახმარებენ: აარსებენ სკოლებს, წიგნთ-საცავებს, საზოგადო წისქვილებს, ისტუმრებენ გადასახადს და სხ. ხარჯს უძლევებიან. 134 „კავშირმა" საკუთარი სახლები ააშენა; ეს სახლები 150,000 მანეთად არის დაფასებული, 21 „კავშირმა" გაიჩინა ცეცხლის მქრობი რაზმები, 28 „კავშირმა" დააარსა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი. ამას გარდა კავშირებმა იყიდეს მეურნეთათვის დასარიგებლად 70,000 მანეთის სასუქი, 40,000 მანეთის თესლი, 10,000 მ. სამეურნეო იარაღი და სხვა.

თვითეულ „კავშირის" საქმეებს გამგეობა განაგებს, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა, იმის ამხანაგისა, მდივნისა, ხაზინადრისა და ასესორისაგან. 529-ში 237-ის „კავშირს" თავმჯდომარედ გლეხები ჰყვანდა, 163-ს—მღვდლები, 43-ს—მემამულენი, 22-ს—მასწავლებელნი და 42-ს—სხვა პროფესიის კაცები. მდივნებად იყვნენ: 295 გლეხი, 168 მასწავლებელი, 9 მღვდელი და 47 სხვა პროფესიის კაცი.

„კავშირების" მთავარ გამგეობას საკუთარი აგრონომები ჰყავს, რომელნიც სოფელ-სოფელ დადიან და ხალხში სამეურნეო სწავლა-ცოდნასავრცელებენ. ეს აგრონომები ლექციების კითხვას არა სჯერდებიან და პრაქტიკულადაც ასწავლიან ამა თუ იმ სასარგებლო მცენარის თესვას, მოვლასა და მოყვანას, ამა თუ იმ

ულს უნდა გარდახდეთ, 15 ავგისტოზედ არა უგვიანეს უნდა სთხოვონ ჯეროვანს სამხედრო საკრებულოს, განგვათავისუფლეთ დროებით სამხედრო ბეგარის გარდახდისაგან სწავლის დასრულებამდე. ამისათვის იმათ სამხედრო საკრებულოს უნდა წარუდგინონ მოწმობანი იმ სასწავლებლებისა, რომლებშიაც სწავლობენ, აგრეთვე არზა, რომელშიაც უნდა აღნიშნონ, როგორა ჰსურთ გარდაიხადონ სამხედრო ბეგარა: კენჭის ამოღებითა თუ თავისუფალ ჯარში შესვლით. 15 ავგისტოს შემდეგ კი სამხედრო საკრებულონი იმ შემთხვევაში მიიღებენ ასეთს თხოვნებს, თუ შესაწყნარებელი მიზეზი იქმნა წარდგენილი დაგვიანებისა.

*** საერო განათლების სამინისტროს ნებართვით გარდაწყვეტილ იქმნა, მომავალ სამოსწავლო წლიდგან ტფილისის მესამე კლასიკურს გიმნაზიაში სწავლის ფული მომატებულ იქმნას და, 70 მან. ნაცვლად, 80 მან. დაინიშნოს წელიწადში. ამავე გიმნაზიაში წრეულს დაარსებულ იქმნება მეხუთე პარალელი კლასი.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ცნობილი დრამატურგი და არტისტი, ჩვენი თანამემამულე ა. ი. იუჟინი (სუმბათაშვილი).

*** კავკასიის უმაღლესს მთავრობას უკვე მოუწონებია აზრი ტფილისის საშვებო ინსტიტუტთან დედათა საფერშლო სასწავლებლის დაარსების შესახებ. კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველს უკვე წინადადება მიეცა თურმე შეადგინოს ამ სასწავლებლის წესდება, შტატები და პროგრამა.

*** 20 ავგისტოდგან დაიწყებს ტფილისში ჩამოსვლას ტვერისა, ნიჟეგოროდისა და სევერის დრაგუნის პოლკები, აგრეთვე ჯარის სხვა ნაწილები, რომელთაც საერთო საბანაკოდ შეკრება აქვთ დანიშნული. შეიკრიბებიან თუ არა, ორად განაწილდებიან და ალლუმი დაიწყება. საერთო საბანაკოდ შეკრება დასრულდება 15 სექტემბერს და შემდეგ ჯარი დაიშლება თავ-თავისს მთავარსადგომებში.

*** ტფილისის მე-15 გრენადერთა პოლკის პოდპოლკოვნიკი თავმაყაშვილი კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს დროებით წევრად იქმნა დანიშნული.

*** ხუთშაბათს ქალაქის საბჭოს კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ნატახტარის წყაროების გამოკვლევა, ქალაქის გამგეობის წევრებსა და ზოგიერთ საბჭოს ხმოსნებთან ერთად გაემგზავრა ადგილობრივ ნატახტარის წყაროების დასათვალიერებლად. ნატახტარის წყაროების დასათვალიერებლად იყვნენ აგრეთვე კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმგირეი, ინჟინერი ბ-ნი გეევსკი და კავკასიის საფიზიკო-სამეტეოროლოგიო ობსერვატორიის გამგე ბ-ნი ფიგუროვსკი. აქამდის ძნელი მისადგომი იყო წყაროები უგზოობისა გამო და ეხლა ისე გასწმინდეს, რომ უფრო გაუადვილდა კომისიას დაახლოვებით გაეცნო წყლის რაოდენობა. კომისია დარწმუნებულა, რომ ნატახტარის წყაროები საკმაო წყალს მისცემს ქალაქს; წყალი სასიამოვნო სასმელია თურმე.

*** დღეს, 5 აგვისტოს, სურამის როტონდაში გაიმართება ბავშვებისა და დიდებისათვის ბუნდოვანი სურათები „ვეფხვის ტყაოსნიდგან“. ამ საღამოს განაგებენ ბბ-ნი გ. ა. ბალანჩივაძე და შ. საფაროვი. ესევე საღამო დანიშნულია დ. ბორჯომში 6 აგვისტოსათვის.

*** გუშინ, 4 აგვისტოს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე ტფილისის გუბერნიის მცხოვრების აზნაურ ივანე აკეტას მე ბაბუროვისა, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ 30 იანვარს ამა 1900 წელს თავისის მეუღლის მარიამ ზაქარია გოლაშვილის ასულის ბაბუროვის მოკვლა განიზრახაო. ოლქის სასამართლომ, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ივანე აკეტას მე ბაბუროვი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ათის წლით ტობოლის გუბერნიაში გადასახლება ისე, რომ 2 წლის განმავლობაში ნება არ ჰქონდეს საცხოვრებლად დანიშნულს ადგილის განშორება, ხოლო ათის წლის შემდეგ ნება ეძლევა იცხოვროს რუსეთის ყველა ადგილებში, სამშობლო ქვეყნისა და სატახტო ქალაქების გარდა. დაწვრილებით ამ საქმეს შემდეგ გაუწყებთ მკითხველებს.

*** ჩოხატაური (გურია). ჩვენს პატარა დაბაში ავადმყოფობა დადის, მეტადრე დღე არ გადის, რომ ერთი ან ორი არ იმსხვერპლოს. ამის ასაცილებლად არავითარი ღონისძიება არ არის მიღებული. პირველად სენი ბაზარში გაჩნდა და შემდეგ სოფლის ხალხმა აქეთ იქით გაიტანა.

*** სოფ. ნოსირი (სენაკის მაზრა). ჩვენი სოფელი, რომელშიაც ხუთასამდე მოსახლე იქმნება, ყოველის მხრივ შევიწროვებული იყო ამა წლის დაწყებამდის მოუსვენარ მედამურეებისაგან. ამ ბოროტ-მოქმედთ არ შეურჩენიათ საწყალ გლეხ-კაცებისათვის არც ცხენები, არც ხარები, არც ძროხები და არც წვრილ-ფეხა ფრინველ-პირუტყვები. აბაშის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა თოფურიამ ის მედამურეები აღკვეთა. წლის მიწის მოსავალს მოველოდით მაგრამ ბუნებამ დაგვსაჯა; განუწყვეტელმა და ხშირ წვიმებისაგან მდ. ტეხურმა გადაიარა და ერთიან მოედო სოფელს, და თითქმის 2000 მანეთის ზარალი მისცა. ზოგან კიდევ წყლის ტბა დადგა და შიგში ამოხარშა სიმინდი. არ ვიცი რითი ირჩინს მომავალ წელს თავს ასე დიდად დაზარალებული სოფელი!..

*** სახალხო სკოლების დირექტორმა შეუთვალა ქალაქის გამგეობას გამომგზავნეთ ქალაქის საბჭოს დადგენილება სპირო ხარფუხის სკოლის დაარსების შესახებ და აგრეთვე შეგვატყობინეთ, თუ ქალაქის რომელს სკოლებს ეწოდა საქართველოს მეფის ირაკლისა, პოეტის ა. ს. პუშკინისა და გ. ბ. ბელინსკის სახელები. ეს ცნობები იმიტომ მოუთხოვნია სახალხო სკოლების დირექტორს, რომ როგორც მას გაუგია გ. გ. ბელინსკის სახელი უწოდებიათ კერის ქალაქის სკოლისათვის მაშინ, როდესაც საბჭოს დადგენილებით ბელინსკის სახელი უნდა ეწოდოს მეოთხე კუკიის სკოლას.

## ჭიათურის შავიქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

28 ივლისის კრების დასასრული)

ზდანოვიჩი გ. ფ. კითხულობს მოხსენებას სამკურნალო კასსის დაარსების შესახებ და აღნიშნავს იმ ცვლილებათა, რომელნიც საჭიროა მოხდეს სამინისტროს მიერ შედგენილს ნორმალურს წესდებაში. ეს ცვლილებანი გამოწვეულია ადგილობრივის ვითარებისა და მოთხოვნილებით.

ქვარიანი ს. ა. რადგან ჩვენს მადნებზედ მუდმივი მუშა თითქმის არ არის, ძნელი იქნება სამკურნალო კასსის შესადგენად დღიურ საფასიდგან რაიმე დავატოვებინოთ.

ზდანოვიჩი გ. ფ. სამკურნალო კასსის ნორმალურის წესდების პროექტი მიღებულია იმპერიის ყველა მრეწველთა კრებებისაგან და მოსალოდნელია, რომ ეს წესდება მალე დაკანონდეს და სავალდებულო გახდეს ყველასათვის. უნდა ვეცადნეთ ადგილობრივ ვითარების მიხედვით საჭირო ცვლილება შევიტანოთ ამ პროექტში და ამისთვის ამოვარჩიოთ კომისია, რომელიც წარუდგენს შემუშავებულს პროექტს მომავალ საბჭოს. ჩვენს კრებას ამ თანხის შესადგენად გადადებული აქვს 2400 მან.

წერეთელი ა. გ. აქ შიში გამოაცხადეს, რომ მუშებს ვერ გამოურიცხავთ ნაწილს დღიურის საფასიდგანო; ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა, რადგან შავი-ქვის მადნებში მუშებს უსწორდებიან დღიურად-კი არა, საჟენობით. ცხადია, რომ გამორიცხვა ადვილია.

კრებამ მიანდო საბჭოს შედგენა იმ ცვლილებათა პროექტისა, რომელნიც საჭირო იქნება ამ შემთხვევისათვის, და მისი სამინისტროში წარდგენა.

თავმჯდომარე. მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობასთან მტკიცე კავშირი აქვს აგრეთვე ეკკლესიის აშენებას და სამკითხველოს დაარსებას ს. ჭიათურაში, რის მთხოვნელიც არის ადგილობრივ ბლაღოჩინი.

ზდანოვიჩი გ. ფ. მაგ ნაირი თხოვნა წარმოგვიდგინა მ. მოდებაძემაც. ეკკლესიის აშენება უეჭველად საჭიროა, ამას ყველა ჰგრძნობს, ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ სასულიერო წოდებას ეკისრა კომიტეტის შედგენა, რომელიც მოაგროვებდა შეწირულებას ეკკლესიის ასაშენებლად; ხოლო მრეწველთა კრებას შეუძლიან მისცეს ამ ხანად ათასი მანეთი. ამასთან კერძო შეწირულებაც საკმაოდ იქნება.

კრებამ ერთხმივ დაადგინა ეკკლესიის ასაშენებლად მიეცეს სასულიერო უწყებას ათასი მანეთი.

ქვარიანი ს. ა. ვფიქრობ, რომ კრება ვალდებულია მუშებისთვის გამართოს ჭიათურაში იაფ-ფასიანი სასადილოები, საკვირაო სკოლა, სამკითხველო, გამართოს აგრეთვე სასაუბროები და წიგნების კითხვა. ერთი ცუდი ჩვეულება აქვთ მრეწველთა: ისინი უსწორდებიან მუშებს კვირაობით. კარგი იქნებოდა, ეს ჩვეულება მოსპობილიყო.

ჟღენტი გ. ვის შეუძლიან იძულებული გახადოს უეჭველად სხვა დღეს გაუსწორდეს მუშებს და არა კვირას. ვისაც როდის ეხერხება, მაშინ გაუსწორდეს. ჩვენც ფულს სხვისაგან ვსესხულობთ, მაშ ჩვენი მოვალეებიც იძულებული გახდეთ ჩვენს ნებაზედ მოგვცენ ფული.

წულუკიძე თ. პ. გ. ეს ჩვეულება უპრალო ახირება-კი არ არის, იგი

---

საქონლის მოშენებას, ახალის გუთნის ხმარებას და სხვას.

მთავარ გამგეობას საკუთარი წიგნთსაცავი და გაზეთი აქვს. ამ ბოლოს დროს ეს გამგეობა პატარ-პატარა სამეურნეო და ეკონომიურის შინაარსის წიგნაკების ბეჭდვასაც შეუდგა. ზემოდ ჩამოთვლილ სასიკეთო საქმეებს გარდა როგორც მთავარი გამგეობა, აგრეთვე თვით „კავშირები“ სოფლებში სკოლებსაც აარსებენ და ამით საზოგადო სწავლა-განათლების გავრცელებასაც უწყობენ ხელს.

* * *

სამწუხაროდ, ამ მხრივ „კავშირებს“ ბევრი არაფერი შეუძლიანთ, და სწავლა-განათლების საქმე გალიციაში ევროპის სხვა კუთხეებთან შედარებით ბევრით უკანა სდგას, რასაკვირველია, უმთავრესად იმიტომ, რომ სახელმწიფოს ხაზინა აუარებელს ფულს ჯარის შეიარაღებას ანდომებს და სწავლა-განათლებას ვეღარ გასწვდომია. ბედნიერია ამიტომ ისეთი სახელმწიფო, როგორიც შვეიცარიაა, რომელსაც ხალხთა დამღუპველ მილიტარიზმით ხელ-ფეხი არა აქვს შეკრული და რომელიც მთელ თავის სიმდიდრეს ერის წარმატებისა და ქონებრივ-გონებრივ განვითარების საქმეს ანდომებს.

არც ერთი დიდი სახელმწიფო, თვით გერმანიაც-კი, — რასაკვირველია, მცხოვრებთა რაოდენობას თუ მივიღებთ მხედველობაში, — იმდენ ფულს არ ანდომებს სახალხო განათლებას, რამდენსაც შვეიცარია. 1899 წელს მარტო ერთ, ციურიხს, კანტონს საკანტონო კასსიდგან სახალხო განათლებისათვის 3 მილიონი 900 ათასი ფრანკი გადაუდვია. ორთა შუა რიცხვით თვითო სულზედ 10 ფრანკი მოდის. ეს მარტო კანტონის კასსის ხარჯი, მაგრამ კასსის გარდა თემები და კერძო კაცებიც დიდ ძალ ფულსა ჰხარჯავენ ამ საქმისათვის.

რუსეთს რომ, სწერს ერთი რუსული გაზეთი, იმდენისავე დახარჯვა შეეძლოს სწავლა-განათლებისათვის, რამდენსაც მარტო ოდენ ციურიხის კანტონი ჰხარჯავს, მაშინ საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი უნდა შეადგენდეს 1,300,000,000 ფრანკს ან 500 მილიონ მანეთს. ნამდვილად-კი ამ სამინისტროს ბიუჯეტი ამა მიმდინარე წელს 33 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო შარშან, 1899 წელს, უფრო ნაკლებს შეადგენდა—29 მილიონ მანეთს.

* * *

შვეიცარიაში თვით სახელმწიფო, მთავრობა ზრუნავს სახალხო განათლებისათვის, სხვაგან-კი უფრო საზოგადოება, საზოგადო დაწესებულებანი, ქალაქები და კერძო კაცები. საყურადღებოა ამ შემთხვევაში ბერლინის სახალხო სკოლები, რომლებსაც თვით ქალაქი ინახავს.

ბერლინში სწავლა სავალდებულოა ყველა ბავშვისათვის 6-დგან 14 წლამდე. სახალხო სკოლა, სადაც ეს ბავშვები სწავლობენ, ექვს-კლასიანია, მაგრამ ეხლა გადაწყვიტეს შვიდ და ზოგი რვა-კლასიანად გადააკეთონ. ბავშვი ამ სკოლაში თითქმის გიმნაზიის კურსსა სწავლობს. დაბალ კლასებში 22 გაკვეთილია მიღებული, მაღალში—32. პროგრამმა ქალებისა და ვაჟებისათვის ერთნაირია; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთ საგანში, იმისდა მიხედვით, ქალებს ასწავლიან თუ ვაჟებს, იმას არჩევენ, რაც ცხოვრებაში უფრო გამოადგებათ. ბოტანიკის სწავლების დროს, მაგალითად, ქალების განყოფილებაში უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სასარგებლო მცენარეებს; ასწავლიან, როგორ უნდა შენახვა მცენარეს, მოვლა-მოყვანა მწვანილს და სხვას. აგებინებენ, მაგალითად, კიდევ-რა მცენარეა შხამიანი და რა არა და სხ.

საზოგადოდ ბერლინის სახალხო სკოლებში დიდ ყურადღებას აქცევენ რომელისამე საგნის სწავლების დროს იმ მხარეს, რომელსაც ცხოვრებაში პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მათემატიკის გაკვეთილებზედ, მაგალითად, ბავშვებს აცნობებენ სხვა და სხვა სახელმწიფოში რა ფულის სისტემაა მიღებული. საბუნების მეტყველო ისტორიის გაკვეთილებზედ მეტი ადგილი ანატომიას და ანტროპოლოგიას აქვს დათმობილი, სხეულის აგებულება, თვითეულ ორგანოს დანიშნულება 13—14 წლის ბავშმა უეჭველად კარგად უნდა იცოდეს. დიდი ყურადღება ჰიგიენის სწავლებასა აქვს დათმობილი. ასწავლიან, მაგალითად, რა ნაირი ტანისამოსია კაცისთვის საჭირო, როგორ უნდა მოუაროს ტანს, როგორ მოაწყოს სადგომი, რომ ჰაერი საკმაო ჰქონდეს, და სხვას.

მაგრამ ყველაზედ კარგად გეოგრაფიის სწავლება სწარმოებს. 8—9 წლის ბავშვი (გეოგრაფიას მესამე კლასიდგან იწყობენ) ამ საგნის სწავლას თითქმის თავისს სკოლიდგან იწყობს და თან და თან სწავლობს სახელებს და მდებარეობას ბერლინის ქუჩებისა, მოედნებისა და სადგურებისას; შემდეგ ბერლინის გარეშემო მდებარე ადგილებს, გორებს, მდინარეებს, ხევებს და სხვას. მერე სამშობლო პროვინციას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მთელის სახელმწიფოს გეოგრაფიის სწავლებაზედ. დასასრულ ბავშვს სხვა ქვეყნების გეოგრაფიას აცნობებენ. მეექვსე კლასში მასწავლებელი აგებინებს ბავშვებს, რა გვარი მართვა-გამგეობაა ქალაქში მიღებული, რა გვარი მნიშვნელობა აქვს საქალაქო დებულებას, აცნობებს შინაარსს ამ დებულებისას. მასწავლებელმა უნდა გააგებინოს აგრეთვე გეოგრაფიის გაკვეთილებზედ თავისს სახელმწიფოს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეები: რა საქონელი გააქვთ მახლობელს სახელმწიფოებში, რა შემოაქვთ იქიდგან, ქვა-მადნების წარმოება და სხვა.

ადვილად მიხვდება მკითხველი, რომ მარტო ეს სახალხო სკოლაც-კი ცხოვრებისათვის საკმაო სწავლაცოდნას შესძენს მოსწავლეს. ეჭვი არ არის, არც დედ-მამა იქმნება წინააღმდეგი ასეთს სასწავლებელში შვილის მიცემისა და არ იტყვის: „რად გვინდა თქვენი სკოლა, იქ არაფერს არ ასწავლიანო“.

* * *

მეტი არ იქმნა, ეხლა, როდესაც ჩინეთი უმთავრეს სალაპარაკო საგნად გადაიქცა, იქაურ სკოლების სწავლა-განათლების შესახებაც ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ჩინეთში დაბალი სასწავლებელი უთვალავია, ამიტომ წერა-კითხვა იქ თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოწვეულია მუშების მოთხოვნილების გამო.

**ლორთქიფანიძე ი.** საღამოს ექვს საათამდე მუშა მადანში მუშაობს; როდის მიიღოს დღიური საფასი, თუ არა კვირაობით. თქვენ მუშების სასარგებლოდ კი არა ჰზრუნავთ, არამედ იმათ საზარალოდ. თითონ მუშები არ ისურვებენ ამას.

**მოდებაძე კარპ.** ნ. ბ. ლოლობერიძე თუ-კი აბერხებდა და შაბათს საღამოს უსწორდებოდა მუშებს, რატომ სხვას არ შეუძლიან? აქ შეუძლებელი არაფერია.

**თავმჯდომარე.** თუ აწ არსებული წესი მუშებთან ანგარიშის გასწორებისა არ მოსწონს კრებას და მისი შეცვლა უნდა, შეუძლიან დაავალოს საბჭოს, რომ მან იშუამდგომლოს მისის შეცვლისათვის.

ქვარიანი წესიერებას არღვევს და ამის გამო თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს.

კრება შეწყვეტილ იქმნა 5 წამით.

კრებამ ხმის უმეტესობით (ადგომით) გადასწყვიტა, მიენდოს საბჭოს იშუამდგომლოს საცა რიგია, გამოიცეს სავალდებულო დადგენილება, რომ შავი-ქვის მრეწველებმა გაუსწორონ ანგარიში მუშებს საქმის დღეს და არა კვირაობით. ამ აზრის წინააღმდეგი მხოლოდ ერთი იყო.

**ზდანოვიჩი გ. ფ.** ჯერ კიდევ პირველ მორიგ კრებაზედ გადასწყდა, რომ ყოველ წლივ ეძლიოს ადგილობრივ სამრევლო სკოლას 600 მან., მაგრამ სამის წლის განმავლობაში ჩვენ არ მიგვიცია ფულის უქონლობისა გამო, ეხლა კი ეს ფული ეძლევა; ამას გარდა 100 მან. ეძლევა საკვირაო სკოლას. ზედამხედველი ამ სკოლისა ბ-ნი მოდებაძე, რა მდგომარეობაშიაც არის ეს სკოლა, ის მოგახსენებთ.

**მოდებაძე კარ.** ეს საკვირაო სკოლა არსებობს მხოლოდ ქაღალდზედ, ფაქტიურად-კი არა. ან ვინ მოვა კვირა დღეს სწავლისათვის, როცა იმ დღეს მთელის კვირის ნამუშევარი უნდა უანგარიშონ და ფული ისე მიიღონ. სწავლისათვის არა სცალიან ამ დღეს.

**ქვარიანი ს. ა.** მეტი არ იქნება-და გავმართოთ ჭიათურაში სახალხო თეატრიც.

**ზდანოვიჩი გ. ფ.** თუ საკვირაო სკოლის გახსნას და კითხვა-საუბრის გამართვის ნებას ვითხოვთ, ეს თხოვნა გაიგზავნოს სამთო მმართველობაში და არა სამოსწავლო ოლქში.

კრებამ მიიღო ბ-ნ ზდანოვიჩის რჩევა და დაავალა საბჭოს იშუამდგომლოს, რომ ნება მიეცეს: მუშებისათვის გაიმართოს სამკითხველო, სახალხო თეატრი, საკვირაო სკოლა, იაფი სასადილოები, კითხვის და საუბრობის გამართვა. და, თუ შუამდგომლობა პატივდებაში იქმნება მიღებული, მიეცეს საკმაო ფული.

**წულუკიძე პ. გ.** კარგს ვიზამთ დავადგინოთ, რომ დუქნებიც დაიკეტოს კვირაობით.

(კრება გადაიდო მეორე დღისათვის).

## წერილი ბორჯომიდგან

დ. ბორჯომი მეტად შესანიშნავია წმინდა ჰაერით, სამკურნალო მადნის წყლებით, მშვენიერის ტყეებითა და ბაღებით. ბორჯომი წარმოადგენს მეტად ლამაზ ხეობას და გაშენებულია მტკვრის ორსავე ნაპირზედ; გარეშემო ბორჯომს დაჰყურებს მშვენიერი ტყით შემოსილი მაღალი მთები, აღმოსავლეთით უძევს „ვარანცოვის პარკი“ და მადნების სამკურნალო წყლების პარკი. „ვარანცოვის პარკი“ მაღლობზეა და განსხვავდება მშვენიერის ჰაერით; „სამკურნალო წყლების პარკი“ მდებარეობს მარს კაკუში თვით პატარა მდინარე „ბორჯომკაზედ“. ამ პარკში განსაკუთრებით შესანიშნავია ორი სამკურნალო წყალი: „ევგენიევსა“ და „ეკატერინისა“, აქვეა მშვენიერი სასტუმროები, მადნის წყლების ქარხანა, ხიმიური ლაბორატორია, ელექტრონის სადგური, ძალიან კარგად მოწყობილი სასიამოვნო ბაღი, სადაც ყოველ დღე სამხედრო მუსიკა უკრავს დილა-საღამოს; აქვეა აბანოები, აუზები, მადნის წყლების კანტორა და სხვა. კანტორაშია მოთავსებული მშვენიერი დიდი დარბაზი, სადაც იმართება სცენიური საღამოები, წარმოდგენები და კონცერტები. ამ კანტორას აქვს მდიდარი წიგნთ-საცავი და სამკითხველო, სადაც წიგნების წაღება და კითხვა ოთხი მან. ღირს მთელს ზაფხულს; ხოლო ჟურნალ-გაზეთების კითხვა-კი უსასყიდლოდ შეიძლება. სამკითხველოს მოსდის შემდეგი გაზეთები: „ივერია“, „კავკასი“, „ტფილისის ფურცელი“, „ოდესის ფურცელი“, „ნედელია“, „ნოვოე ვრემია“, „რუსკია ვედომოსტი“ და „მშაკი“. აქ არიან მკურნალები: ე. ა. ადამოვიჩი, ზ. ნ. ავიმოვი, მ. კ. ფლორინი, ა. ი. ხატისოვი, ს. პ. მახ-პარონიანი, მ. დ. სემენსკი, კ. პ. გოლდფზონი და აქვე არის დროებით ჩვენი ექიმიც ბ-ნი ს. თოფურიძე. მკურნალი ბებია ქალებია: ა. მ. ადეინეროვი და ა. ა. კოჩენოვი.

დასავლეთით ბორჯომს აქვს მშვენიერი გაშლილი ველი, ნაძვნარ და ფიჭვნარ ტყით შემოსილი, სადაც აშენებულია დიდებული სასახლე და სადაც ზაფხულობით სცხოვრობს ბორჯომის მფლობელი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე; დასავლეთისკენვე ბორჯომს უძევს პატარა სოფელი „ლიკანია“ შესანიშნავი ცივის წყაროებითა და კარგი ჰაერით.

ბორჯომში არიან შემდეგი დაწესებულებანი: ბორჯომის მამულის კანტორა, სახელოსნო და საქალებო სასწავლებლები, აფთიაქი, პოლიციის სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, სამი მართლ-მადიდებელთა ეკლესია და ერთი სომხის. ზაფხულობით აქ არის მომრიგებელი სასამართლოც, რომელიც დროებით ჩამოდის დ. სურამიდგან, და სხვანი.

წელს ბორჯომში წარსულს წლებზედ შედარებით ძალიან ცოტა ხალხია მოსული საზაფხულოდ. მიზეზად ასახელებენ პარიჟის მსოფლიო გამოფენას, სადაც საქართველოდგან ბევრნი წავიდნენ, და წრევანდელ ზაფხულის გრილ ჰავას. ამისდა მიუხედავად, ბორჯომში სახლები უწინდებურად ძვირია; ბევრს დარჩენია თავის სახლები გაუქირავებელი, მაგრამ თუ ჩვეულებრივი წინანდელი ქირა არ აძლიეს, მაინც არ აქირავებენ. სოვდაგრობა ძვირია, რადგან სანოვაგე უმეტეს ნაწილად გარეშე ქალაქებიდგან მოაქვთ; საკლავი მეტად კარგი იკვლის. ხილი აქ მეტად ძვირი და უგემური იყიდება, რადგანაც მეხილეებს შორეულ ქალაქებიდგან მოაქვთ მკვახე და დაუმწიფებელი ხილი იმ განზრახვით, რომ თუ ვინიცობაა დროზედ ვერ გაიყიდა, არ დაულპებათ მაინც.

დ. ბორჯომი თანდათან იზრდება, მეტად ლამაზია და შემკობილი შენობებით და მოსალოდნელია ეს პატარა დაბა შემდეგ ქალაქად გადაკეთდეს. დღეს-კი ბორჯომი, როგორც საგარაკო ადგილი, თითქმის ყველა ჩვენ დაბებს სჯობია თავისის სუფთა ჰაერით, ლამაზის მდებარეობითა და სამკურნალო წყლებით.

ბესარიონ ვაშაძე

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია შვეიცარიელ ინჟინერის სიგმუნდ ტოლლერის დღიური. ეს ინჟინერი პეკინ-ხანკაუს რკინის გზის ერთ-ერთ სადგურზედ მსახურებდა, როდესაც ჩინეთში არეულობა დაიწყო. აწერილია დღიურში ის გაჭირვება, რომელიც იმასა და იმის ამხანაგებს გამოუვლიათ. სულ 40 ყოფილან, მათ შორის 7 დედაკაცი. „პირველს თოფის გასროლისათანავე იარაღს ვტაცეთ ხელი, სწერს ინჟინერი, უფროს უმცროსობას აღარავინ დაეძებდა, ყველანი განსაცდელში ვიყავით და მხოლოდ იმას-ღა ვცდილობდით, თავი დაგვეცვა მტერთაგან. შუადამისას ჩვენც დაუწყეთ ჩინელებს სროლა, მაგრამ ზარალი ვერ მივაყენეთ, რადგანაც ისინი სამალავებში იყვნენ. ჩვენ მხრივ ოთხი მოკლული აღმოჩნდა, მათ შორის ერთი დედაკაცია. ამ პირველმა შეტაკებამ გული ბოღმით ამავსო: ჩემს სიცოცხლეში პირველად ვესროდი თოფს ადამიანს. საცოდავი ქალები! ერთი მათგანი ფეხმძიმე იყო. ეს ქალი ფეხშიშველი დარბოდა გარეთ პატარა სამის წლის ბავშვით ხელში! ამ დღიდგან დაიწყო ჩვენი ტანჯვა-წვალება. არც პური, არც წყალი, არც წამალი ჩვენთვის არ იყო. ავადმყოფნი და ბავშვები საცოდავად ჰკვნესოდნენ. ინჟინერი ოსსენტი გვამხნევებდა, გვამუდარებოდა, მომისპეთ სიცოცხლე და მაშორეთ ამ ტანჯვასაო... ნელ-ნელა უახლოვდებოდით მდინარეს. გვიხაროდა, მღვრიე და შხამიან წყლით მაინც მოვიკლავთ წყურვილს ამ პაპანაქება სიცხეშიო. ფეხშიშველა ქალებსა და ბავშვებს მწვეტიან ქვებზედ სიარულის თავი აღარ ჰქონდათ. ორის საათის შემდეგ სოფელში შევედით, სადაც ამ დროს იარმუკა იყო, და ამან უფრო გაჭირვებაში ჩაგვაგდო. 2000 სოფელი მიემხრო „მოკრივეებს“, რომელთაც ერთი ზარბაზანიცა ჰქონდათ და ეს ამოდენა ხალხი, როგორც მადლი კურდღელს, ისე დაგვედევნა შიმშილისაგან წელში გაწყვეტილს, დაღალულ-მოქანცულთ. რასაკვირველია იმათ სროლაზედ პასუხს ვერ ვაძლევდით. ყოველთვის, როდესაც სროლის ხმა მოგვესმოდა უკანიდგან, პირქვე წავწვებოდით ხოლმე. დედაკაცები, ბავშვები და ჩვენ ყველანი სიკვდილს შევთხოვდით ზეცას. მიუახლოვდით მეორე მდინარეს. მოულოდნელად მდინარის მეორე ნაპირას ნავს მოვკარით თვალი. ხელად ის ნავი გამოვიტაცეთ, ჩავსხით შიგ ქალები და ბავშვები. ჩვენ კაცები შიგ შუა მდინარეში ჯერ ჯერ მივათრევდით ამ ნავს. ხელ-ახლა დაგვეცნენ „მოკრივეები“ და ნავზედ ხელი აგვაღებინეს... 1000 კაცი შემოგვერტყა. ჩვენს პატარა ბანაკში ტირილი, ღრიალი, წივილი გაისმოდა. ტყვიებს ჩვენ ყურთან გაჰქონდა ზუზუნი. ბევრი უკვე ამბობდა სიცოცხლის მოსპობას, მაგრამ ამ

---

ყველამ იცის. სასწავლებელში ბავშვს უმეტეს ნაწილად 6 ან 7 წლიდგან აძლევენ.

თვით სკოლაში სწავლა დილის 6 საათიდგან იწყობა და თავდება საღამოს 5, 6 ან 7 საათზედ. მხოლოდ შუადღისას ერთი საათით სადილად ითხოვენ. ზოგან დღეში სწავლება 12, 13, 14 და 15 საათია თურმე. ასწავლიან ამ დაბალს სკოლებში კითხვას, წერას და ანგარიშს.

ჩინელ მოსწავლეებისათვის დღესასწაულები მეტად ცოტაა: ახალის წელიწადის დღესასწაულები—ერთი თვე, ზაფხულის დღესასწაული—სამი დღე, შემოდგომის დღესასწაული—ერთი დღე, ეს არის და ესა: არც ზაფხული, არც კვირა და არც უქმე ჩინელ მოსწავლეთათვის არ არსებობს.

სხვა უფრო მაღალ-სასწავლებელშიაც ბევრს არაფერს ასწავლიან. მთელს წლებს ჩინელი მხოლოდ ძველის ისტორიის და ძველ ბრძენთა ნაწერების შესწავლას ანდომებს. აწინდელი სწავლა ჩინელებისა საშუალო საუკუნოების სხოლასტიკას წარმოადგენს. ჩინეთში კარგი ნასწავლი ის არის, ვინც უფრო მეტ ადგილს მოიყვანს ზეპირად კონფუცის ან სხვა რომელისამე ბრძენის ნაწერიდგან.

როგორც ვუწყით, ჩინეთში არც ერთის თანამდებობის მიღება არ შეიძლება უეგზამენოდ. მაგრამ საქმეც ეს ეგზამენია: საჭიროა კანდიდატისათვის ჯერ ერთი—დიდი მოთმინება, მეორე კიდევ—არაჩვეულებრივი მეხსიერება, რომ მრავალისგან მრავალი ძველი წიგნი გადაიკითხოს და საუკეთესოდ მიჩნეული ადგილები ზეპირად შეისწავლოს. ეგზამენს სამგან იჭერენ: საოლქო ქალაქში, პროვინციის უმთავრესს ქალაქში და პეკინში. კანდიდატმა რიგ-რიგობით უნდა დაიჭიროს ეგზამენი, ჯერ ერთგან, მერე მეორედგან და ბოლოს მესამედგან. უმთავრესი ეს მესამე ეგზამენია. ხან ამ ეგზამენზედ პეკინში 5000 კაცი გამოცხადდება ხოლმე, მაგრამ ღირსეულად ამათში 10—15 კაცს ძლივს იცნობენ.

ვინც ამ მესამე ეგზამენს ათავებს, ის სწავლულად ითვლება. უმაღლესს თანამდებობებზედ (ვიცე-კოროლისა, გუბერნატორისა, მინისტრებისა და სხვათა) მხოლოდ ამათა ჰნიშნავენ, თუმცა-კი ჯვით ადგილის მიღება უფულოდ ეგრე ადვილი არ არის. მექრთამეობამ ძალიან მოიკიდა ჩინეთში ფეხი. ზოგჯერ თანამდებობას პირდაპირ ყიდულობენ. ლერუა-ბოლიე გადმოგვცემს, რომ ამას წინად ერთმა კანდიდატმა შანხაის გუბერნატორის თანამდებობა 250,000 ტაელად (ტაელი დაახლოვებით 1 მანეთი 45 კაპეიკია) იყიდაო. ზოგჯერ მთელი ამხანაგობა სდგება თურმე ასეთის ადგილის საყიდლად რომელისამე კანდიდატისათვის. ვთქვათ, თქვენ ეგზამენი დაიჭირეთ პეკინში; უფლება გაქვთ, მაგრამ ადგილი ვერ იშოვეთ, ამასთან იმდენი ფულიც არ მოგეპოვებათ, რომ იყიდოთ იგი. მაშინ შეგიძლიანთ შეადგინოთ ამხანაგობა, რომელიც გამოიღებს ფულს და იყიდის თქვენთვის ადგილს იმ პირობით, რომ შემდეგ ერთი ორად მეტი მისცეთ. რასაკვირველია, ჯამაგირით ამ ვალს ვერ გაისტუმრებთ და მექრთამეობას უნდა მიჰყოთ ხელი.

ამ რიგად ჩინეთში ღარიბი, უბრალო კაციც კი ეგზამენის შემწეობით ადვილად ჰხდება მანდარინად, გუბერნატორად და სხვა დიდ მოხელედ. ღვთის წყალობა გაქვთ, მაშინ ის განცხრომასა და ფუფუნებას მიეცეს; დღეში სულ ას-ას თავს საჭმელს შეექცევა.

***

ჩინეთში თითქმის არც ერთის პირუტყვის ხორცს არ ერიდებიან. კანტონის ხორცის დუქნებში ხშირად შეხვდებით დასუქებულს ძაღლებს. განსაკუთრებული დუქნებია, სადაც მხოლოდ ძაღლის ან კატის ხორცითა ვაჭრობენ. დიდი ფასი აქვს ჩინეთში თაგვს. ხის შამფურზედ აგებულს თაგვებს ხშირად ქუჩებშიაც ჰყიდიან.

პეკინსა და იმის მახლობელს ადგილებში ძალიან შეექცევიან აქლემისა და ვირის ხორცს. ატოუში ქალის რძესა ჰყიდიან; ჩინელებს სჯერათ, რომ ასეთი რძე მოხუცებულს ძალასა და ღონეს უბრუნებს. ძროხის რძეს მხოლოდ ჩრდილოეთში ხმარობენ, სამხრეთში კი სასტიკად არის იგი აღკრძალული.

ყველი ჩინელს ჰქირივით ეჯავრება. ამავე დროს იგი სადს კვერცხს ლაყეს ამჯობინებს, მაგრამ უპირველესს, საუკეთესო საჭმელად ჩინეთში მაინც მერცხლის ბუდე ითვლება, რასაკვირველია, კარგად მოხრაკული და მომზადებული. არც ერთის მდიდარის ჩინელის ნადიმი, ქორწილი, ან სხვა შესანიშნავი დღე უმერცხლის ბუდეოდ არ ჩაივლის. საპატიო სტუმარს პირველად ყოველთვის ამ ბუდეს მიართმევენ ხოლმე. ძალიან ეწყინება მასპინძელს, თუ სტუმარმა დიდად არ შეაქო ეს საჭმელი.

ესეც კი ჩინელს ამ საქმეში სწავლა და დარიგება არ ეპირვება. ზრდილობას ჩინეთში ძალიან დიდი ფასი აქვს და უბრალო ლაპარაკის დროსაც კი ორი ჩინელი ერთმანეთის ქებასა და „კომპლიმენტებში“ არიან ხოლმე. ზრდილობის ნიმუშად ერთის რედაქტორის წერილს მოვიყვანთ, დაწუნებულის ხელთნაწერის ავტორთან გაგზავნილს:

„მზისა და მთავრის დიდებულო ძმაო!

კეთილის თვალით შეხედე მონასა შენსა, რომელიც შენ ფეხთა წინაშე დაცემული მოწყალებასა გთხოვს. წინაპართა ძვლებსა ვფიცავ, რომ ამ თხზულებაზედ უკეთესი არასოდეს არა წამიკითხნია-რა, მაგრამ ჩვენ უღირს გაზეთში რომ დავბეჭდოთ იგი, მაშინ იმპერატორი გვიბძანებს შემდეგშიაც ასეთი თხზულებანი ვბეჭდოთ. ხოლო ამ გვარს რასმეს 10,000 წელიწადში ერთხელ ვერ ვეღირსებით. ამიტომ გიგზავნი უკანვე შენს მაღალ აზროვანს თხზულებას და ამასთან ათი-ათასჯერ ბოლიშს ვიხდი. შენი უმდაბლესი და უღირსი მონა“.

ი. ა—ძე

დროს ცალ მხარეს თავისუფალი ადგილი შევნიშნეთ, იქით წავედით და როგორც იქმნა გავცდით მტერს, რომელიც უკან აღარ დაგვდევნებია. ნახევარ საათის შემდეგ ტიან-ძინში ჩავედით, სადაც საფრანგეთის საელჩოს შევაფარეთ თავი.“

სან-გოუში, სადაც დღემდის მშვიდობიანობა იყო, არაჩვეულებრივი მოძრაობაა თურმე. შეშინებული უცხო-ქვეყნელნი და ვაჭარნი საჩქაროდ გადიან ამ ქალაქიდგან და შანხაისაკენ მიეშურებიან. უკვე გასულა 1600 უცხო-ქვეყნელი. ქუჩებში განცხადებანი გაუკრავთ „მოკრივეებს“, ამოვწყვიტავთ „ქრისტიან ქაჯებსაო“, მაგრამ ეს განცხადებანი ვიცე-კოროლის ბრძანებით აუშლიათ. თუმცა ამ ვიცე-კოროლს ეტყობა, რომ მოკრივეთა მომხრეა, მაგრამ ჯერ ჯერობით რაღაც მიზეზებისა გამო უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოქმედებას ერიდება თურმე.

**იტალია.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მეფე ჰუმბერტო დიდის ამბით დაუსაფლავებიათ. 200,000 კაცზედ მეტი დასწრებია ამ დასაფლავებას. პროცესსიას წინ ცხენოსანი ჯარი მიუძღოდა, შემდეგ ქვეითა ჯარი და არტილერია მიდიოდა, ამათ მისდევდნენ სასწავლებელთა და აკადემიათა წარმომადგენლები რომისა და ტურინის მოხელენი, გენერლობა, დეპუტაციები პროვინციებისა და ქალაქებისა, პარლამენტის დეპუტატები, სენატორები და სამღვდელოება. ამათ შემდეგ კუბო მიჰქონდათ, რომლის მარჯვენა მხარეს მიდიოდა სენატის მინისტრ-პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, მარცხენა მხარეს — გარეშე საქმეთა მინისტი და პალატის პრეზიდენტი. კუბოს ცერემონიმეისტერი მისდევდა, შემდეგ განსვენებულის მეფის ცხენი მიჰყავდათ. მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდნენ მეფე ვიქტორ-ემმანუილი, ჰერცოგი ჰაოსტისა, გრაფი ტურინისა, ჰერცოგი ჰენუისა, პრინცი ფერდინანდ ჰენუისა, პრინცი ვიქტორ-ნაპოლეონი, ჰერცოგი ოპორტოსი, მთავარი ჩერნოგორიისა, მთავარი ბოლგარიისა, პრინცი ჰენრიხ პრუსიელი, დანიის მემკვიდრე პრინცი, პრინცი ლიუდოვიკო ბავარიისა და სიამის პრინცი ამალითურთ. შემდეგ წარმომადგენლები: არგენტინისა, ბრაზილიისა, კოსტარიკოსი, იაპონიისა, მექსიკისა, მონაკოსი, ნიდერლანდიისა, სპარსეთისა, პერუსი, რუმინიისი, სენ-მარინოსი, საქსონიისა, სერბიისა, შეერთებულ შტატებისა, შვეციისა, ნორვეგიისა, ოსმალეთისა და სხვათა. ეკკლესიაში წირვის გადახდის დროს გალობდა მომღერალთა გუნდი, 130 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც შესანიშნავი არტისტი მასკანი დირიჟორობდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო

**შანხაი.** გონკონგიდგან აქ მოსული ჯარი არ გადმოუსხამთ, რადგანაც ვიცე-კოროლი წინააღმდეგია ამისა. ინგლისის ქვეშევრდომნი საშინლად არიან ამით კმაყოფილნი. სეიმური ინსტრუქციას ელის თავისს მთავრობისაგან.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ შეადგინა პასუხი, რომელშიაც თანხმობაა გამოცხადებული გერმანიის გენერლის მთავარ-სარდლად დანიშვნისა ჩინეთში.

**ვენა.** სერბიაში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ ავსტრო-უნგრეთი ერიდება ბალკანიის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევას და ამ შემთხვევაში იგი იმავე აზრისაა, რა აზრისაც რუსეთის პოლიტიკაა. არ შეიძლება ეხლა ავსტრო-უნგრეთის დამარცხებაზედ ლაპარაკი. სერბიაში საქმის ვითარება დამოკიდებულია სერბიის შინაურ საქმეებზედ-კი არა, არამედ სერბიის გეოგრაფიულ მდებარეობასა და იმის ავსტრო-უნგრეთთან ეკონომიურ დამოკიდებულებაზედ. ბალკანის საქმეების განხილვის დროს აღარ ვიხელმძღვანელოთ ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ინტერესებით“.

**პარიჟი.** კანტონში მყოფ საფრანგეთის ელჩის, გორდუენისაგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ კანტონში მშვიდობიანობააო. ელჩი სცდილობს დახმარება აღმოუჩინოს ვიცე-კოროლსა და მოხელეებს. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ სვატაუს ოლქში უკმაყოფილება მისსიონერთა და ქრისტიანეთა წინააღმდეგ თან-და-თან ძლიერდება; ბევრი ქრისტიანეთა სოფელი დააქციეს და დასწვეს.

**გონკონგი.** დასავლეთ მდინარიდგან იუწყებიან, რომ მრავალ-რიცხოვანი ჩინეთის ჯარი, უთუოდ „შავი დროშანი“, ზემოდ, მდინარის პირ-აღმა მიდისო. სვატაუს მახლობლად კიდევ არეულობანია ქრისტიანეთა წინააღმდეგ. გემი „მახაუკი“ ეხლა იქ არის უცხო-ქვეყნელთა დასაცველად; საფრანგეთის სამხედრო გემი აქ მოვიდა საიგონიდგან; შეიარაღებას კანტონში განაგრძობენ; მდინარეში ნაღმებს აწყობენ.

**ვაშინგტონი.** ადმირალი რემეი ტაკუდგან იუწყება, რომ მივიღე ჩაფეის დეპეშა მატაუდგან, რომელიც გვაცნობებს, რომ ჩემ ჯარს მცირე წინააღმდეგობა გაუწევსო. ისეთი სიცხეებია, რომ ბევრი ჯარის-კაცი ავად არის და წევს. მატაუ ხეტაუდგან 12 მილის სიშორეზედაა; ეს ადგილი უსამაგლესია ტიან-ძინიდგან პეკინში მიმავალ გზისა.

**ლონდონი.** შანხაიდგან 1 აგვისტოს გამოგზავნილი დეპეშა: „პეკინიდგან 25 ივლისს გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ განაახლეს საელჩოებზედ თავს დასხმა; სურსათს აღარ უგზავნიანო. — ადმირალი ბრიუსი ტაკუდგან იუწყება, რომ მივიღე ხეტიეში მყოფ ინგლისის გენერლისაგან შემდეგი დეპეშა 28 ივლისს გამოგზავნილი: „მოკავშირეთა ჯარი პეკინიდგან 27 მილის სიშორეზეა; მოწინააღმდეგემ მცირე წინააღმდეგობა გაუწია; თუმცა მან სიმაგრეები მოამზადა, მაგრამ მოკავშირეთა ჯარის მოახლოვებისას გაიქცა. ბენგალიის ულანთა ორი ესკადრონი თავს დაეცა თათართა ცხენოსნებს; ბევრი ჩინელი დაიღუპა. მოკავშირეთა ჯარი სიცხისაგან ძალიან არის შეწუხებული. ლონდონში მყოფმა ჩინეთის ელჩმა გადასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ორის დღის წინად ელჩები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენო.

**ბერლინი.** გერმანიის ესკადრის მეორე ადმირალი იუწყება ტაკუდგან 31 ივლისს, რომ კაპიტანი პოლი 27 ივლისს 4 აფიცრითა და 107 ჯარის-კაცით წავიდა ტიანძინიდგანა პეკინშიო. იქვე წავიდა 28 ივლისს გემის „ხერტას“ კაპიტანი ორის აფიცრითა და 150 ჯარის კაცით. პოლს გაჰყვა ტაკუდგან 160 ავსტრალიელი.

**ტიან ძინი.** ტუანის ჯართან ბრძოლის შემდეგ (ჯარს თვით ტუანი უფროსობდა) მოკავშირეთ აიღეს ხეტიუ. რათა ჩინელებს მაგარი პოზიციები არ დაეჭირათ, მოკავშირეთა ჯარი დაუყოვნებლივ დაედევნა მტერს; მოკავშირენი, უთუოდ, 30 მილით მიუახლოვდებიან პეკინს, რომ ჩინელებს ტაონტინფუსკენ გზა შეუკრან; ცხენოსანნი სამხრეთისაკენ მიდიან. პრინცი ტუანი პეკინში სიკვდილითა სჯის ყველას, ვინც-კი უცხო-ქვეყნელთ სურსათს აწვდის, ან თანაგრძობას უცხადებს.

**პეტერბურგი.** ბუხარის ემირმა დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ 100,000 მანეთი შესწირა. ეს ფული უმაღლესის ნება დართვით წითელის ჯვრის გამგეობას გადაეცა.

**ბერლინი.** ტოკიოდგან იუწყებიან, რომ 31 ივლისს, გათენებისას იაპონელებმა დაიჭირეს ტუნჯოუ, პეკინიდგან 10 მილის მანძილზედ, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. უთუოდ მტერი ღამე პეკინისაკენ წავიდა; წაართვეს თოფები და პურის მაღაზიები.

**ნიუ-იორკი.** ჩიფუდგან 1 აგვისტოს გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარი ორშაბათს პეკინს მიუახლოვდაო. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯარი ძალით შევიდა კიდეც პეკინში და ელჩები და მათი მეგობრები გაანთავისუფლა. ისინი ეხლა უთუოდ ქრისტიანეთა ჯარის შორის არიან. — ტიანძინიდგან პეკინამდე რკინის გზა აღდგენილია; რუსები მუშაობენ გზის სხვა ნაწილების აღსადგენად.

**კრიუზერსდორპი.** დევეტი ეხლა ვენტერსდორპის მეორე მხარესაა და ჩრდილოეთისაკენ მიეშურება დელარეისთან შესაერთებლად; დელარეი რუსტენბურგში სდგას. კიტჩინერი და სხვა გენერლები ფეხ-და-ფეხ მისდევენ დევეტს.

**ვაშინგტონი.** აქ ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთი დიდად წარჩინებულს მანდარინს მიანდობს მოკავშირეთა ჯარის უფროსებთან მოლაპარაკებას ტუნჯოუში იმის შესახებ, რომ საერთო ღონისძიებანი იქმნას ხმარებული პეკინის გზაზედ ელჩების დასაცველად. ამბობენ, რომ ამ მოლაპარაკების გაწევა მინდობილი აქვს პრინცს ცინსაო. მოლაპარაკება უეჭველია უკვე ექმნებოდათ.

**შანხაი.** მოკავშირეთა ჯარი პეკინში იმყოფება.

**შანხაი.** ვიცე-კოროლმა 2 აგვისტოს სთხოვა ბრიტანიის მთავრობას უკანვე დაიბარეთ ბრძანება ინდოეთის ჯარის ნაპირად გადმოსვლის შესახებაო. თუმცა ვიცე-კოროლს პირდაპირ არ განუცხადებია წინააღმდეგობა, ბრიტანიის მთავრობამ მაინც განკარგულება მოახდინა, რომ ჯარს ჯერ ნუ გადმოსხამთ და ელოდეთ ჩვენს ბრძანებასაო.

**დურბანი.** ბულლერი გზად იმყოფება ბარბერტონისაკენ.

**ლორენცო მარკეზი.** 1 აგვისტოს მოვიდა რუსთა სასანიტარო რაზმი, 35 კაცისაგან შემდგარი (უმეტესობა დედაკაცობაა). რაზმი უკანვე გახმობილია და დაუყოვნებლივ წავა ჩინეთს.

**შანხაი.** კონსულებს თათბირი ჰქონდათ და მათ წინააღმდეგობა არ განუცხადებიათ ბრიტანიის ჯარის ნაპირად გადმოსვლის შესახებ, ხოლო განაცხადეს, რომ ჩვენი მთავრობანიც გადმოსხამენ თავიანთს ჯარსაო. ბრიტანიის კონსულმა ამის წინააღმდეგ დაიწყო ლაპარაკი და დაემუქარა, რომ მაგ შემთხვევაში გადმოსასვლელად მზად მყოფი ბრიტანიის ჯარი უკანვე იქმნება გახმობილიო. საურთიერთო დადგენილების თანახმად, აქაურმა კონსულებმა შემდეგის შინაარსის დეპეშები გაუგზავნეს თავ-თავიანთ მთავრობას: „ინდოეთის ჯარი თუ უკან იქმნა გახმობილი, შანხაის დიდი საფრთხე მოელის. ეს ჯარი უნდა გადმოვიდეს შანხაიში საერთა შორისო მორიგების თანახმად. დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ შანხაის დასაცველად უფრო მეტმა მოკავშირეთა ჯარმა მოიყაროს თავი.

**შანხაი.** 2 აგვისტოს ინგლისის ჯარი არ გადმოსულა გემებიდგან, გაგზავნილ იქმნა ვეი-ხაი ვეში. ამ გარდაწყვეტილებამ, ამბობენ, დიდად დაალონა აქაურებიო, ჰშიშობენ, რომ ჩინელები ისარგებლებენ ამ გარემოებითაო.

4 აგვისტო

**შანხაი.** 2 აგვისტო. სეიმურს ებრძანა, რომ აქ გამოგზავნილი ჯარი ჩრდილოეთისაკენ იქმნას გასტუმრებული; ამ ბრძანებას ხვალ მოიყვანენ სისრულეში, თუ სამინისტრომ გარდაწყვეტილება არ გააუქმა ინგლისის ბანკირებმა და სანაოსნო ფირმებმა სალისბიურის დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ თქვენ განკარგულებას მეტად ცუდი შედეგი მოჰყვებაო; ისინი დაბეჯითებით თხოულობენ, ამ საგნის განხილვას შეუდგნენ. უცხოქვეყნელთა ელჩებმა, რომელთაც აგრეთვე აფიქრიანებს ასეთის განკარგულების შედეგი შესაფერის ნოტებით მიჰმართეს თავიანთ მთავრობებს და სთხოვეს ეცადეთ, ინგლისის მთავრობამ ჯარის ნაპირზედ გადასხმის განკარგულება მოახდინოსო.

**პარიჟი.** სამოსწავლო ნაწილის განყოფილებაში პირველ დაწყებით სწავლისათვის უმაღლესი ჯილდოები გამოფენაზედ მიეცათ უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭოს, პეტერბურგის სიპატრიოტო საზოგადოებას, გარეშე საქმეთა მინისტრს, ქნ ალჩევსკაიას, ფინლიანდიის სკოლების უმაღლესს ადმინისტრაციას, კავკასიის სამოსწავლო ოლქს, პეტერბურგის სასწავლებელთა კომისიას. ეროვნებს: ვიატკისა, მოსკოვისა, ნიჟეგოროდის სასკოლო საბჭოს, სამაზრო ერობას და საბჭოს, ვიატკის გუბერნიის სკოლების დირექციას და ბრიანსკის ერობას.

**ვაშინგტონი.** ლიხუნგ-ჩანგმა სთხოვა გარეშე საქმეთა სამინისტროს ეცადოს, რომ მოკავშირეთა ჯარი ტინჯოუში შეჩერდეს და ზევით აღარ წავიდეს სალაშქროდ, რათა წარჩინებულს მანდარინს შეეძლოს იქ მისვლა დროებით ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. ლიხუნგ-ჩანგმა წინადადება მისცა შანხაიში მყოფ ამერიკის ელჩს, სახელმწიფოთა ელჩებს პეკინს გარედ გადაცემთ მოკავშირეთა ჯარსაო, მაგრამ ამერიკის მთავრობამ არ მიიღო ეს წინადადება და წინანდელი მოთხოვნილება განიმეორა, რომ ჩინეთმა მოკავშირეთა ჯართან ერთად იმოქმედოს, ხელი შეუწყოს მოკავშირეთ პეკინში შესვლის დროს და დაეხმაროს პეკინიდგან ელჩებისა და სხვა ქრისტიანეთა გასვლასაო.

**კობე.** იაპონიამ დროებით ზავზედ ჩამოაგდო ლაპარაკი სახელმწიფოთა და ჩინეთს შორის. ჩინეთმა მიიღო ეს წინადადება. სახელმწიფონი იმასა თხოულობენ, რომ ელჩები პეკინის გალავანის კარებთან ჩააბარონ ჯარს, ან ჯარს ნება მიეცეთ პეკინში შესვლისა. იაპონიამ მოლაპარაკება დაიწყო.

**ვაშინგტონი.** როგორც ისმის, შეერთებული შტატები თანახმაა დროებით ზავისა პეკინში მყოფ ელჩებისა და სხვა უცხო-ქვეყნელთა განთავისუფლებისათვის. თანახმაა, აგრეთვე, ომის მოსპობისა დროებით ზავის პირობათა შესახებ მოსალაპარაკებლად.

**ტიან ძინი.** მოკავშირეთა ჯარმა აიღო ჯანძიავანი. ჯარს მცირე ზარალი მოუვიდა. ჩინელები გაიქცნენ ზოგი ტუნჯოუში, ზოგი პეკინში; დასტოვეს ბრძოლის ველზედ 500 მოკლული.

**ლონდონი.** გეზლი 4 ივლისს მატაუდგან იუწყება შემდეგს: „დღეს დილით აქ მოვედით ცხარე ღამის ლაშქრობის შემდეგ. სახელმწიფოების ჯარი დიდ ტანჯვაშია სიცხეების გამო. ჰფიქრობენ, რომ მტერი ჯანძიავანის ჩრდილოეთით გამაგრდება. ელჩებისაგან არავითარი ცნობა აღარ მოსულა“.

## წერილი რედაქციის მიმართ

1900 წელს, 27 ივლისს, მადათოვის კუნძულზედ მთლად დაიწვა ხე-ტყის ქარხანა როსტომ გძელიშვილისა და მცირედი ზარალი მოუვიდა მისს მეზობელს ბესო ჩიხრაძეს. ხუროებმა და სხვა გულშემატკივართ ხუროთა ამქრის მამასახლისის აბრამ იორდანოვის მეცადინეობითა და თაოსნობით მოაგროვეს სულ 220 მან. ამ ფულიდგან 200 მ. მიეცა რ. გძელიშვილსა და 20 მან. მიეცა ბესო ჩიხრაძეს. შემომწირველთ მადლობას ვუხდით. ფული შემოსწირეს:

აბრამ იორდანოვმა 5 მან., ტიგრ. ვართანოვმა 10 მ., ალ. ჯაგათიანცმა 25 მ., მიხ. მესხიმ 5 მ., ვანო კაციტაძემ 5 მ., სიმ. გასპაროვმა 10 მ.. ზაქ. ელჩიევმა 10 მ., ქიტ. ალავიძემ 5 მ., სიმ. ბრეგვაძემ 5 მ., ნიკო ფარიაშვილმა 5 მ., გიორგი ხორბალაძემ 5 მ., სანდრო ჯაფარიძემ 5 მ., ვანო ინასარიძემ 5 მ., თედო გძელიშვილმა 5 მ., სერგო ინასარიძემ 5 მ., ლუარ. მესხიმ 5 მ., ყარამან ელჩიევმა 20 მ., სერგო ცარიელოვმა 6 მ., სოლ. დეკანოიძემ 5 მ., გეურქ ნერსესოვმა 5 მ., ვასო ბეტაშელმა 5 მ., თათუზ მარქაროვმა 5 მ., ბესო ხეიძემ 5 მ., ნიხ. ბიბილურმა 5 მ., ალაზ. ოხანოვმა 5 მ., იოსებ ნეფარიძემ 5 მ., სოლ. კაციტაძემ 5 მ., ნესტ. ნეფარიძემ 5 მ., დათიკო ჩიხრაძემ 5 მ., გიგო სირაძემ 5 მ., ასლან მაცაბერიძემ 5 მ., სიმონ ფარიაშვილმა 5 მ., გიორგი ტოროშელიძემ 3 მ., შიო გოგობერიძემ 2 მ., გლახო სირაძემ 2 მ., მალხაზამ 1 მ., შამილამ 1 მ., № სარქისოვმა 1 მან. სულ 220 მან.

ხუროთა ამქრის მამასახლისი
აბრამ იორდანოვი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე